ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შეხვედრის

სხდომის ოქმი N 1

ქ. ბოლნისი 12.03.2015 წ

სხდომას ესწრებოდნენ: ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელის პირველი მოადგილე დავით შერაზადიშვილი; ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ეროდი უგრეხელიძე; ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი კონსტანტინე კორძაძე; ინფრასტრუქტურის განვითარების სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი ნიკოლოზ გობეჯიშვილი; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი კობა ჟღენტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - გიორგი რეხვიაშვილი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - პაატა გოგშელიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე დავით შერაზადიშვილი .

სხდომის დღის წესრიგი:

1.ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 18 თებერვლის N 127 ბრძანების თანახმად შექმნილი სათათბირო ორგანოს - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სივრცის მოწყობის, არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების, სპორტისა და კულტურის კუთხით წარმოქმნილი ბარიერების გამოვლენა.

სხდომას მოახსენეს:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა პაატა გოგშელიძემ და გიორგი რეხვიაშვილმა საბჭოს წევრებს იმ აუცილებელი გარემო-პირობების კეთილმოწყობაზე მიაწოდეს ინფორმაცია, რაც მათ საზოგადოებაში ადაპტირებას შეუწყობს ხელს. მათ დაასახელეს საჯარო სამსახურები, კერძო ობიექტები და ის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები,სადაც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ საბჭოს წევრებთან ერთად დაასახელა ის მნიშვნელობის მქონე ობიექტები, რომელთა ადაპტირებაც პრიორიტეტების მიხედვით უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად 5 წლის განმავლობაში.

სხდომაზე გადაწყდა:

1.საბჭოს წევრებმა კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა პაატა გოგშელიძემ და გიორგი რეხვიაშვილმა გამოთქვეს ინიციატივა, მომავალ სხდომაზე წარმოადგინონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ადაპტირებისათვის გასატარებელი ღონისძიებების გეგმა.

2. საბჭო კვირაში ერთხელ შეიკრიბება და კონკრეტულ გეგმებსა და სამომავლო მიზნებზე იმსჯელებს. მომდევნო სხდომა **19** მარტს არის ჩანიშნული.

სხდომის თავმჯდომარე: ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის

პირველი მოადგილე დავით შერაზადიშვილი